ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და თანასწორობის ეროვნული ორგანოების ჩართულობა სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის საქმიანობაში, ევროპის სოციალური ქარტიის მონიტორინგის სისტემის ფარგლებში

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და თანასწორობის ეროვნული ორგანოების ჩართულობა სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის საქმიანობაში, ევროპის სოციალური ქარტიის მონიტორინგის სისტემის ფარგლებში

დოქტორი კლერ ლუგარი,
ულსტერის უნივერსიტეტის ლექტორი,
სამართლის სკოლა

ევროპის საბჭო

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ყველა მოსაზრება გამოთქმულია ავტორთა პასუხისმგებლობით და არ არის აუცილებელი, ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას. ყველა შეცდომაზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები.

დოკუმენტიდან ამონარიდების (500 სიტყვამდე) ხელახალი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებით, თუ დაცული იქნება ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ გამოიყენება კონტექსტიდან ამოღებულად, არ წარმოგვიდგენს არასრულ ინფორმაციას, ან სხვაგვარად არ შეიყვანს მკითხველს შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, გამოყენების სფეროსა ან შინაარსთან მიმართებით. წყარო ტექსტი ყოველთვის აღიარებული უნდა იყოს შემდეგნაირად: „© ევროპის საბჭო, წელი, გამოცემა". ყველა სხვა თხოვნა დოკუმენტის მთლიან ან ნაწილობრივ გამოქვეყნებაზე/ თარგმნაზე უნდა წარედგინოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int). წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა სხვა კორესპონდენცია უნდა გაეგზავნოს სოციალურ უფლებათა დეპარტამენტს, DGI, ევროპის საბჭო, F-67075 Strasbourg Cedex, ან social.charter@coe.int.

ყდა და დიზაინი:
დოკუმენტებისა და პუბლიკაციების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო

ფოტო: Shutterstock.

წინამდებარე პუბლიკაცია არ გაურედაქტირებია SPDP-ის სარედაქციო განყოფილებას, ტიპოგრაფიული და გრამატიკული შეცდომების შესასწორებლად.

©ევროპის საბჭო, 2024 წლის თებერვალი
დაბეჭდილია ევროპის საბჭოში

დაგვიკავშირდით:

ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის გენერალური დირექტორატი, სოციალურ უფლებათა დეპარტამენტი

ევროპის საბჭო

1 quai Jacoutot, F-67075

Strasbourg Cedex

ელფოსტა: social.charter@coe.int

Contents

შესავალი **5**

- რა არის ევროპის სოციალური ქარტია? 5
- ორი ხელშეკრულება 6
- მორგებული სისტემა 6
- სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი 7
- საკონტაქტო ინფორმაცია 8

კოლექტიური საჩივრების პროცედურა **9**

- რა არის კოლექტიური საჩივრების პროცედურა? 9
- რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ საჩივრის წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში? 10
- როგორ შეუძლიათ ორგანიზაციებს საჩივრის წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში? 11
- როგორ მუშაობს კოლექტიური საჩივრების პროცედურა? 12

მიღებულ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურა **16**

- რა არის მიღებულ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურა? 16
- რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ეროვნული ანგარიშების პარალელურად? 17
- როგორ შეუძლიათ ორგანიზაციებს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში? 17
- როგორ მუშაობს მიღებულ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურა? 18
- სად მოვიძიოთ დოკუმენტაცია წარსულ ანგარიშგების ციკლებზე? 21

მიუღებელ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურა 22

როგორ მუშაობს მიუღებელ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურა? 22

სპეციალური (AD HOC) ანგარიშგების პროცედურა 24

რა არის სპეციალური ანგარიშგების პროცედურა? 24

როგორ მუშაობს სპეციალური (ad hoc) ანგარიშგების პროცედურა? 24

სად მოვიძიოთ ინფორმაცია სპეციალური ანგარიშგების პროცედურაზე? 25

დანართი 1: 26

მიღებულ დებულებებთან დაკავშირებული ანგარიშებისა და სპეციალური (ad hoc) ანგარიშების წარდგენის განრიგი; და განრიგი სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნებისთვის (ასევე, ონლაინ იხ. აქ). 26

დანართი 2: 29

წერილობითი ინფორმაციის წარდგენის განრიგი ანგარიშგების პროცედურის ფარგლებში იმ დებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფოს არ მიუღია 29

შესავალი

რა არის ევროპის სოციალური ქარტია?

ევროპის სოციალური ქარტია არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც იცავს სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში. მათ შორისაა უფლებები, რომლებიც უკავშირდება დასაქმებას, უსაფრთხო სამუშაო პირობებს, ჯანმრთელობას, საცხოვრებელ ადგილს, განათლებას, სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას. ქარტია ითხოვს, რომ ეს უფლებები გარანტირებული იყოს დისკრიმინაციის გარეშე და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოწყვლადი ჯგუფების დაცვას, როგორებიც არიან ხანდაზმულები, ბავშვები, შშმ პირები და მიგრანტები.

ევროპის სოციალური ქარტია ითვლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმამტკიცებელ ხელშეკრულებად, რომელიც ფოკუსირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე. დოკუმენტი ეფუძნება იმავე პრინციპებს, რასაც ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტები – უფლებათა საყოველთაობას, განუყოფლობასა და ურთიერთდამოკიდებულებას.

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობას (46-დან 42 ქვეყანას) გამოხატული აქვს ფორმალური თანხმობა ქარტიის შესრულებაზე, მისი „რატიფიცირების“ გზით. „რატიფიკაცია“ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხდება ქარტიის „მხარე“ და იღებს სამართლებრივ ვალდებულებას ამ ხელშეკრულებით დაცული უფლებების შესასრულებლად.

ორი ხელშეკრულება

არსებობს ევროპის სოციალური ქარტიის ორი ვერსია: თავდაპირველი, მიღებული 1961 წელს, და შესწორებული, მიღებული 1996 წელს. შესწორებული ვერსია მოიცავს მეტ უფლებას, მათ შორის, ხანდაზმულ პირთა უფლებებს და სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვას. მასში განახლდა ზოგიერთი ის უფლებაც, რომელიც უკვე წარმოდგენილი იყო თავდაპირველ ვერსიაში. შესწორებული ქარტია მოწოდებულია 1961 წლის ქარტიის ეტაპობრივად ჩასანაცვლებლად. სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ რომელიმე ვერსიის მხარეები, თუმცა არა ორივესი ერთად. ამჟამად უმრავლესობას (42-დან 35 სახელმწიფოს) რატიფიცირებული აქვს შესწორებული ქარტია. ამ ვერსიის რატიფიცირებისას, სახელმწიფოსთვის მბოჭავ ძალას იძენს, სულ მცირე, ის დებულებები, რომლებიც მიიღო 1961 წლის ქარტიის შესაბამისად.

როდესაც ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები (NHRI) და თანასწორობის ეროვნული ორგანოები (NEB) განიხილავენ ჩართვას ევროპის სოციალური ქარტიის მონიტორინგის პროცედურაში, მათ უნდა გადაამოწმონ, რომელი ვერსია აქვს რატიფიცირებული შესაბამის სახელმწიფოს (მხოლოდ ხელმოწერა არ კმარა). ეს ინფორმაცია წარმოდგენილია ხელმოწერებისა და რატიფიკაციების ცხრილში.

მორგებული სისტემა

ქარტია ეფუძნება à la carte რატიფიკაციის სისტემას. ეს სისტემა მხარე სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, თავად აირჩიონ დებულებები, რომელთა მიღებაც სურთ სამართლებრივი ვალდებულების სახით (მათ არ ევალებათ ყველა დებულების მიღება). თუმცა, ქვეყნებმა უნდა იკისრონ ვალდებულება, რომ შეასრულებენ, სულ მცირე, 10 მუხლს ან 45 პუნქტს 1961 წლის ქარტიიდან, ანდა, სულ მცირე, 16 მუხლს ან 63 პუნქტს შესწორებული ქარტიიდან.

როდესაც NHRI და NEB განიხილავენ ჩართვას ქარტიის მონიტორინგის პროცესში, უნდა გადაამოწმონ, კონკრეტულად რომელ დებულებებს აქვთ მბოჭავი ძალა განსახილველი სახელმწიფოსთვის. ეს ინფორმაცია წარმოდგენილია მიღებულ დებულებათა ცხრილში.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი

მხარე სახელმწიფოთა მიერ ევროპის სოციალური ქარტიის შესრულებას ზედამხედველობს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი. იგი შედგება 15 დამოუკიდებელი ექსპერტისგან, რომლებსაც ირჩევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ექვსწლიანი ვადით. მათი მანდატის გახანგრძლივება შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი ქარტიის შესრულებას მონიტორინგს უწევს რამდენიმე პარალელურად მოქმედი მექანიზმით. ესენია:

- კოლექტიური საჩივრების პროცედურა;
- მიღებულ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურა;
- სპეციალური (ad hoc) ანგარიშგების პროცედურა.

სახელმწიფოთა მიერ წარდგენილ ეროვნულ ანგარიშებზე კომიტეტი იღებს „დასკვნებს“, ხოლო უფლებამოსილი ორგანოების მიერ წარდგენილ საჩივრებზე –„გადაწყვეტილებებს“. კომიტეტის განმარტებები ქარტიის თითოეულ დებულებასთან მიმართებით წარმოდგენილია სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრაქტიკის კრებულში. კრებული ასევე შეიცავს ქარტიის ინტერპრეტაციის ძირითად პრინციპებს და აღწერს ანგარიშგებისა და კოლექტიური საჩივრების პროცედურებს.

ვინაიდან გადაწყვეტილებები და დასკვნები ეხება სამართლებრივად მბოჭავ დებულებებს და მიღებულია ქარტიითა და მისი ოქმებით შექმნილი მონიტორინგის ორგანოს მიერ, შესაბამის სახელმწიფოებს ევალებათ მათი პატივისცემა. აღნიშნული გადაწყვეტილებები და დასკვნები პირდაპირ არ აღსრულდება ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში, თუმცა ასახავს სამართლებრივ სტანდარტს და შეიძლება საფუძვლად დაედოს სოციალურ უფლებათა განვითარებას, როგორც კანონმდებლობის, ისე ეროვნული სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით.

გარდა ამისა, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი ამზადებს ანგარიშებს მიუღებელ დებულებებზე მომზადებული, ან სპეციალური (ad hoc) ანგარიშების პასუხად (იხ. ქვემოთ).

დამატებითი ინფორმაცია სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია მის რეგლამენტში, ასევე, ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე.

საკონტაქტო ინფორმაცია

საფოსტო მისამართი:

სოციალურ უფლებათა დეპარტამენტი

ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის გენერალური დირექტორატი

ევროპის საბჭო

1, quai Jacoutot

F – 67075 სტრასბურგი, Cedex

ელფოსტა: Social.Charter@coe.int

ვებსაიტი: www.coe.int/socialcharter

X (ყოფილი Twitter): @CoESocialRights

კოლექტიური საჩივრების პროცედურა

რა არის კოლექტიური საჩივრების პროცედურა?

ეს პროცედურა შემოღებულია დამატებითი ოქმით, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას და მიღებულია 1995 წელს.

კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიზანია, გააუმჯობესოს ქარტიით გარანტირებული სოციალური უფლებების აღსრულება და გაძლიეროს სოციალურ პარტნიორთა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობა. ამ მიზნების მისაღწევად, პროცედურა გარკვეულ ორგანიზაციებს აძლევს საჩივრების წარდგენის საშუალებას ევროპის სოციალური ქარტიის მხარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებიც, სავარაუდოდ, სათანადოდ არ ასრულებენ ქარტიას.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის სოციალური ქარტიის მხარე სახელმწიფოებს არ ევალებათ კოლექტიური საჩივრების სისტემის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, თუმცა მათ აქტიურად წაახალისებენ ამის გასაკეთებლად. მიზანშეწონილია, NHRI-მა და NEB-მა გადაამოწმონ, აქვს თუ არა რატიფიცირებული მათთვის საინტერესო სახელმწიფოს დამატებითი ოქმი კოლექტიური საჩივრების სისტემის შესახებ (მხოლოდ ხელმოწერა არ კმარა), ან ხომ არ დათანხმდა ის კოლექტიური საჩივრების პროცედურის მბოჭავ ძალას შესწორებული ქარტიის D მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის საფუძველზე (ასეთი განაცხადი გააკეთეს ბულგარეთმა, სლოვენიამ და ესპანეთმა). მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი კოლექტიური საჩივრის წარდგენა შესაბამისი სახელმწიფოს წინააღმდეგ. განახლებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია კოლექტიური საჩივრების სისტემის დამატებითი ოქმის ხელმოწერებისა და რატიფიკაციების ცხრილში. დღეისათვის, ქარტიის 16 მხარე სახელმწიფო დათანხმდა აღნიშნული პროცედურის მბოჭავ ძალას და, შესაბამისად, მათ მიმართ შესაძლებელია საჩივრის წარდგენა.

რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ საჩივრის წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში?

დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მიხედვით, გარკვეულ ორგანიზაციებს შეუძლიათ საჩივრის წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში, თუკი მიიჩნევენ, რომ ქარტიის (და მისი დამატებითი ოქმის) მხარე სახელმწიფომ სათანადოდ არ შეასრულა ქარტია. მათ შორის არის არიან:

- გარკვეული დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციები და პროფკავშირები, კერძოდ: ევროპული პროფკავშირების კონფედერაცია (ETUC) – დასაქმებულებისთვის; ასევე, Business Europe და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (OIE) – დამსაქმებლებისთვის.
- საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები (INGO), რომლებიც ფლობენ ევროპის საბჭოს მონაწილის სტატუსს და არიან შესაბამის სიაში (იმ INGO-თა სია, რომლებსაც აქვთ კოლექტიური საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება). დამატებითი ინფორმაცია INGO-ის მიერ საჩივრების წარდგენის უფლებამოსილების მოთხოვნაზე, განახლებასა ან მიღების პირობებზე ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებგვერდზე.
- ეროვნულ დონეზე არსებული დამსაქმებელთა ორგანიზაციები და პროფკავშირები, იმ სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, რომლის წინააღმდეგაც წარადგენენ საჩივარს.
- გარდა ამისა, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია, მის იურისდიქციაში მოქმედ ეროვნულ წარმომადგენლობით NGO-ს მიანიჭოს მის წინააღმდეგ საჩივრის წარდგენის უფლება (განაცხადის გაკეთებით კოლექტიური საჩივრების სისტემის დამატებითი ოქმის, ან შესწორებული ქარტიის D მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად). ამ ეტაპზე, მსგავსი განაცხადი მხოლოდ ფინეთმა გააკეთა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ NHRI-სა და NEB-ს არ შეუძლიათ საჩივრის დამოუკიდებლად წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში, თუმცა უფლება აქვთ, დაუკავშირდნენ ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ორგანიზაციას და მხარი დაუჭირონ ამ პროცესში. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპულ ქსელსა და თანასწორობის ორგანოთა ევროპულ ქსელს, როგორც რეგისტრირებულ არაკომერციულ ორგანიზაციებს, ამის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექნებათ ევროპის საბჭოს მონაწილის სტატუსი.

როგორ შეუძლიათ ორგანიზაციებს საჩივრის წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში?

მისაღებად ცნობისათვის, კოლექტიური საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა კრიტერიუმს. ეს კრიტერიუმები განსაზღვრულია ქარტიის დამატებით ოქმსა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის რეგლამენტში, ასევე განიმარტება ინდივიდუალური გადაწყვეტილებებით მისაღებობის შესახებ.

- საჩივარი უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით.
- მისი ადრესატი უნდა იყოს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის აღმასრულებელი მდივანი, რომელიც მოქმედებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელით.
- საჩივარი უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე:

სოციალურ უფლებათა დეპარტამენტი

ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის გენერალური დირექტორატი, ევროპის საბჭო.

1, quai Jacoutot, F–67075 სტრასბურგი Cedex, საფრანგეთი.

ელფოსტა: social.charter@coe.int

- საჩივარში ნათლად უნდა მიეთითოს მომჩივანი ორგანიზაციის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია.
- მას ხელს უნდა აწერდეს შესაბამისი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი. საჩივარში უნდა ჩანდეს, რომ პირს, რომელიც წარადგენს და ხელს აწერს მას, მართლაც აქვს ამ ორგანიზაციის წარმომადგენლობის უფლებამოსილება.
- საჩივარში უნდა დადასტურდეს, რომ ორგანიზაციას, რომელიც წარადგენს მას, აქვს ამის გაკეთების უფლებამოსილება, კოლექტიური საჩივრების პროცედურის შესაბამისად (იხ. ზემოთ, ქვეთავი: „რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ საჩივრის წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში?“).
- თუ საჩივარს წარადგენს საერთაშორისო ორგანიზაცია, ის უნდა შეადგინონ ევროპის საბჭოს რომელიმე ოფიციალურ ენაზე (ინგლისურად ან ფრანგულად).
- თუ საჩივარს წარადგენს ეროვნული ორგანიზაცია, ის უნდა შეადგინონ იმ სახელმწიფოს ოფიციალურ/ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, რომელსაც ეხება.
- საჩივარი უნდა ეხებოდეს ევროპის სოციალური ქარტიის მხარე

სახელმწიფოს, რომელსაც აღიარებული აქვს კოლექტიური საჩივრების პროცედურის მბოჭავი ძალა (იხ. ზემოთ, ქვეთავები: „ორი ხელშეკრულება“ და „რა არის კოლექტიური საჩივრების პროცედურა?“).

- საჩივარი უნდა ეხებოდეს ქარტიის ერთ ან რამდენიმე დებულებას, რომლებიც მიღებული აქვს შესაბამის სახელმწიფოს (იხ. ზემოთ, ქვეთავი: „მორგებული სისტემა“).
- საჩივარში უნდა მიეთითოს, რა მხრივ ვერ უზრუნველყო შესაბამისმა სახელმწიფომ კონკრეტული დებულების სათანადოდ შესრულება (შესაბამის არგუმენტებთან, მტკიცებულებებსა და დამხმარე დოკუმენტებთან ერთად).
- საჩივარი უნდა ეხებოდეს ერთ ან მეტ დებულებასთან შეუსაბამო სამართლებრივ თუ პრაქტიკულ საკითხებს; ინდივიდუალურ შემთხვევებზე საჩივრები არ განიხილება.

როგორ მუშაობს კოლექტიური საჩივრების პროცედურა?

დასაშვებობის ეტაპი

სოციალ ურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განიხილავს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა კრიტერიუმს (იხ. ქვეთავი: „როგორ შეუძლიათ ორგანიზაციებს საჩივრის წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში?“) და გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობის შესახებ.

წარმოების ეტაპი

თუ კომიტეტი საჩივარს დასაშვებად ცნობს, შესაბამის სახელმწიფოს მოუწოდებს, წერილობითი პოზიცია წარადგინოს საჩივრის არსებით მხარეზე, საჩივრის წარმდგენ ორგანიზაციას კი მიმართავს, რომ უპასუხოს ამ პოზიციას. საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა თხოვნით ან კომიტეტის ინიციატივით, შესაძლებელია საჯარო მოსმენის ჩატარება.

არსებითი განხილვა

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განიხილავს წარმოების პროცესში წარდგენილ ყველა არგუმენტსა და მტკიცებულებას და მიიღებს გადაწყვეტილებას საჩივრის არსებითი მხარის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ადგენს, შეესაბამება თუ არა მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობა და/ან პრაქტიკა ევროპის სოციალურ ქარტიას.

აღსრულება

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილება უნდა აღსრულოს შესაბამისმა სახელმწიფომ, თუმცა ამ გადაწყვეტილებაზე არ ვრცელდება პირდაპირი აღსრულება, ეროვნული სასამართლო სისტემის მეშვეობით. აღსრულების პროცესს ზედამხედველობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რომელიც უფლებამოსილია, მიიღოს რეზოლუცია, ან რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის სახელმწიფოს. ნებისმიერ შემთხვევაში, მინისტრთა კომიტეტი ვერ შეცვლის სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის სამართლებრივ შეფასებას.

შემდგომი ანგარიშგება აღსრულებაზე

თუ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი არსებით გადაწყვეტილებაში დაადგენს ევროპის სოციალური ქარტიის დარღვევას, შესაბამისმა სახელმწიფომ უნდა წარადგინოს ინფორმაცია ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიღებულ ზომებზე. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა წარადგინოს ანგარიში შემდგომი ქმედებების შესახებ (follow-up report) (თითო ანგარიში ყველა იმ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც ადგენს დარღვევებს), ორი წლის ვადაში მას შემდეგ, რაც მინისტრთა კომიტეტი მიიღებს რეკომენდაციას შესაბამის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განიხილავს ანგარიშს შემდგომი ქმედებების შესახებ, რათა დაადგინოს, შეუსაბამა თუ არა სახელმწიფომ თავისი მდგომარეობა ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს, და გამოაქვეყნებს შესაბამის „დასკვნებს". აღნიშნული დასკვნები გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის შეფასების საფუძველზე, მინისტრთა კომიტეტმა შეიძლება დახუროს საქმე რეზოლუციის მიღებით, ან გასცეს (მეორე) რეკომენდაცია.

მხარე სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი ანგარიშები შემდგომი ქმედებების შესახებ, ასევე, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნები, მიღებული ამ ანგარიშებზე დაყრდნობით, ხელმისაწვდომია ქარტიის ვებგვერდზე.

გადაუდებელი ზომები

სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს შეუძლია, შესაბამის სახელმწიფოს მოსთხოვოს გადაუდებელი ზომების მიღება იმ უფლებათა სერიოზული და გამოუსწორებელი ზიანის ასაცილებლად, რომლებიც აღიარებულია ევროპის სოციალურ ქარტიაში (წესი 36). ასეთი მოთხოვნა შეიძლება გაჩნდეს წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის ინიციატივით, ისე მომჩივანი ორგანიზაციის თხოვნის საფუძველზე.

თუ მომჩივანი ორგანიზაცია მოითხოვს გადაუდებელ ზომებს, ის ვალდებულია, კომიტეტს განუმარტოს: რატომ ითხოვს ამ ზომებს; რა შედეგი შეიძლება დადგეს, თუ ეს ზომები არ მიიღება; და კონკრეტულად რომელ ზომებს ითხოვს. 36§3 წესის თანახმად, კომიტეტი დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც მოპასუხე სახელმწიფომ სრულად უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მითითებული გადაუდებელი ზომების გატარებაზე.

როგორ შეუძლიათ NHRI-სა ან NEB-ს მოსაზრების წარდგენა სხვის მიერ შეტანილ საჩივარზე?

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის რეგლამენტის 32 და 32A წესების მიხედვით, შესაძლებელია მესამე მხარეთა ჩართვა კოლექტიური საჩივრების განხილვის პროცესში, რომლის პირდაპირი მონაწილეებიც არ არიან.

- 32-ე წესის შესაბამისად, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს სთავაზობს, მესამე მხარის სტატუსით წარადგინონ მოსაზრებები იმ საჩივრებზე, რომლებიც შეიტანეს ადგილობრივმა დამსაქმებელთა ორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა, ან არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ამ შეთავაზებით, კომიტეტი მიმართავს ევროპული პროფკავშირების კონფედერაციას (ETUC), რომელიც მოქმედებს დასაქმებულებისთვის; ასევე, Business Europe-სა და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციას (OIE), რომელიც მოქმედებს დამსაქმებელთა სახელით. მათ მიერ წარდგენილი მოსაზრებები გადაეცემა მოპასუხე სახელმწიფოსაც და მომჩივან ორგანიზაციასაც.
- სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს შეუძლია, იმ სახელმწიფოებსაც შესთავაზოს კომენტარების წარდგენა მესამე მხარის სახით, რომლებსაც აღიარებული აქვთ კოლექტიური საჩივრების პროცედურის მბოჭავი ძალა, თუმცა ეს საჩივარი არ ეხებათ.
- გარდა ამისა, რეგლამენტის 32A წესის საფუძველზე, კომიტეტს შეუძლია, მესამე მხარის სტატუსით კომენტარების წარდგენა შესთავაზოს ნებისმიერ ორგანიზაციას ან პირს, რომლებსაც შესაბამისად მიიჩნევს (მათ შორის, NHRI-ს, NEB-სა და მათ ქსელებს, როგორიცაა ENNHRI და EQUINET). მესამე მხარემ მოსაზრებები უნდა წარადგინოს კომიტეტის მიერ დადგენილ ვადაში (ზოგადად, მაქსიმუმ, ორ თვეში). ისინი უნდა იყოს მკაფიო, ლაკონიური, და ეხებოდეს კონკრეტულ საკითხს, ანუ უშუალოდ პასუხობდეს საჩივარსა და მის არგუმენტებს და არ აფართოებდეს საჩივრის ფარგლებს. მესამე მხარის მოსაზრებები შემდეგ გადაეცემა მოპასუხე სახელმწიფოსაც და მომჩივან ორგანიზაციასაც. გარდა

ამისა, NHRI-ს, NEB-სა და მათ ქსელებს შეუძლიათ, წინასწარ აცნობონ სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს თავიანთი დაინტერესება – მესამე მხარის სტატუსით ჩაერთონ მიმდინარე კოლექტიური საჩივრის წარმოებაში. ამისათვის, ისინი უნდა დაუკავშირდნენ ევროპის სოციალური ქარტიის სამდივნოს.

სად მოვიძიოთ ინფორმაცია წარსულ კოლექტიურ საჩივრებზე?

- სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრაქტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია HUDOC-ის სპეციალურ მონაცემთა ბაზაში.

- HUDOC-ის საშუალებით, მომხმარებლებს შეუძლიათ ძიების დავიწროება კოლექტიურ საჩივრებთან დაკავშირებული კონკრეტული ტიპის დოკუმენტების არჩევით, იმის მიხედვით, რა აინტერესებთ (გადაწყვეტილებები დასაშვებობის შესახებ, არსებით მხარეზე მიღებული გადაწყვეტილებები, გადაუდებელი ზომების მოთხოვნა, გადაწყვეტილებები საჩივრის ამორიცხვის შესახებ, ცალკეული დასკვნები, თუ აღსრულების შემდგომი ზომები). HUDOC იძლევა საძიებო შედეგების გაფილტვრის შესაძლებლობასაც, კომიტეტის მიერ განხილულ კოლექტიურ საჩივრებთან დაკავშირებული პარამეტრების მიხედვით (მაგ: ქარტიის კონკრეტული მუხლები, სახელმწიფოები, ან მომჩივანი ორგანიზაციები).

- დამატებით, ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ყველა მიმდინარე და განხილული საჩივრის შესახებ, მათ შორის, თითოეული საქმის ფარგლებში გაცვლილი ყველა დოკუმენტი (მაგ: წარდგენილი საჩივრები; მხარეთა და მესამე მხარეთა მოსაზრებები, შენიშვნები და პასუხები; ასევე, საჩივარზე დამდგარი საბოლოო შედეგები).

- დეტალური ინფორმაცია კოლექტიური საჩივრების პროცედურის შესახებ წარმოდგენილია სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის რეგლამენტში (იხ. ნაწილი VIII, წესები 23-40), ან ევროპის საბჭოს ვებსაიტის შესაბამის გვერდზე.

მიღებულ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურა

რა არის მიღებულ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურა?

ანგარიშგების პროცედურა შემოღებულია 1961 წლის ევროპის სოციალური ქარტიით (იხ. ნაწილი IV) და განახლდა 1991 წლის ტურინის ოქმით. მიუხედავად იმისა, რომ ოქმი ძალაში არ შესულა, მინისტრთა კომიტეტი მას იყენებს 1991 წელს ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღნიშნული პროცედურის მიზანია, გაუმჯობესდეს ევროპის სოციალური ქარტიით გარანტირებულ უფლებათა რეალიზაცია და განმტკიცდეს რეგულარული დიალოგი მხარე სახელმწიფოებთან, სამოქალაქო ორგანიზაციებთან, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და თანასწორობის ეროვნულ ორგანოებთან. ჩამოთვლილი მიზნები მიიღწევა იმით, რომ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, რეგულარულად წარადგინონ ანგარიშები ქარტიის განხორციელებაზე, ხოლო გარკვეულ ორგანიზაციებს, მათ შორის, NHRI-სა და NEB-ს, ეძლევათ დამატებითი მოსაზრებებისა და ინფორმაციის წარდგენის შესაძლებლობა.

ყველა იმ სახელმწიფოს, რომელიც ევროპის სოციალური ქარტიის რომელიმე ვერსიის მხარეა, ევალება რეგულარული ანგარიშების წარდგენა ქარტიის განხორციელებაზე. თუმცა, უფლებები, რომლებზეც სახელმწიფომ უნდა წარადგინოს ანგარში, დამოკიდებულია ქვეყნის მიერ რატიფიცირებულ ვერსიასა (იხ. ქვეთავი: „ორი ხელშეკრულება“) და მიღებულ დებულებებზე (იხ. ქვეთავი: „მორგებული სისტემა“). შესაბამისად, მიზანშეწონილია, NHRI-მა და NEB-მა გადაამოწმონ ეს ინფორმაცია.

დამატებითი ინფორმაცია ანგარიშგების პროცედურის შესახებ წარმოდგენილია სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის რეგლამენტში (იხ. ნაწილი VII, წესები 19–22).

რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ეროვნული ანგარიშების პარალელურად?

ევროპის სოციალური ქარტიის 23(1) და 27(2) მუხლების თანახმად (ტურინის ოქმით შეტანილი ცვლილებების შემდეგ), გარკვეულ დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს აქვთ უფლებამოსილება, კომიტეტს მოსაზრებები და ინფორმაცია წარუდგინონ ეროვნული ანგარიშების პარალელურად. მათ შორის არიან: ევროპული პროფკავშირების კონფედერაციის (ETUC) ადგილობრივი, აფილირებული წევრები, რომლებიც მოქმედებენ დასაქმებულთათვის; და Business Europe-ისა და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის (OIE) წევრი ეროვნული ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ დამსაქმებელთა სახელით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ქარტიის მხარე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ეროვნული ანგარიშების ასლები გადასცენ ამ ორგანიზაციების ეროვნულ წევრებს.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის ხანგრძლივი პრაქტიკისა და რეგლამენტის 21A მუხლის შესაბამისად, სხვა ორგანიზაციებს, ინსტიტუციებსა და ერთეულებსაც შეუძლიათ მოსაზრებების წარდგენა ეროვნულ ანგარიშებზე. მათ შორის არიან: (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და თანასწორობის ეროვნული ორგანოები.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მთლიანად კომიტეტის შეხედულებაზეა დამოკიდებული, რამდენად და როგორ გაითვალისწინებს ასეთ მოსაზრებებს (კომენტარებს).

როგორ შეუძლიათ ორგანიზაციებს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში?

ეროვნულ ანგარიშებზე მოსაზრებები ევროპის სოციალური ქარტიის სამდივნოს უნდა წარედგინოს იმ წლის 30 ივნისამდე, როცა კომიტეტი განიხილავს შესაბამის ეროვნულ ანგარიშს. ეს ვადა მოქმედებს მაშინ, თუ სახელმწიფო ანგარიშს წარადგენს დეკემბერში (რეგ-

ლამენტის თანახმად). დაგვიანების შემთხვევაში, შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება. საბოლოო ვადები წინასწარ ქვეყნდება ქარტიის ვებსაიტზე.

NHRI-სა და NEB-ს მოსაზრებებისა ან დამატებითი ინფორმაციის წარდგენა შეუძლიათ ორივე ტიპის სახელმწიფოთა ანგარიშებზე – რომლებსაც მიღებული აქვთ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, და რომელთაც ეს პროცედურა არ მიუღიათ.

არ არსებობს გარკვეული სავალდებულო ფორმატი, რომელიც NHRI-მა და NEB-მა უნდა დაიცვან ეროვნულ ანგარიშებზე მოსაზრებების წარდგენისას. თუმცა, კომიტეტი მიესალმება ანგარიშებს, რომლებიც:

- ითვალისწინებს სახელმწიფოებისთვის ანგარიშგების ციკლის დასაწყისში მიწოდებულ კითხვარებს;
- აწვდის კონკრეტულ და სიღრმისეულ ინფორმაციას საკითხებზე, რომლებიც გამოტოვებულია, ან არასაკმარისად არის წარმოდგენილი სახელმწიფოს ანგარიშში;
- ითვალისწინებს კომიტეტის წინა განხილვასა და დასკვნას შესაბამის მუხლთან დაკავშირებით;
- პასუხობს კითხვებს, რომლებიც კომიტეტმა წინა განხილვისას დასვა შესაბამის მუხლთან მიმართებით.

როგორ მუშაობს მიღებულ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურა?

ანგარიშგების განრიგი

ევროპის სოციალური ქარტიის 2022 წლის რეფორმის საფუძველზე, რომელიც დამტკიცდა მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, ანგარიშგების მიზნებისთვის, ქარტიის დებულებები იყოფა ორ ჯგუფად (მანამდე იყოფოდა ოთხ ჯგუფად).

- ჯგუფი 1: მუხლები 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 18, 19, 20, 21, 22, 24, 25, 28, 29.
- ჯგუფი 2: მუხლები 7, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 23, 26, 27, 30, 31.

კითხვარი

იმისათვის, რომ პროცედურა იყოს უფრო მიზნობრივი და უმსუბუქებდეს სახელმწიფოებს ანგარიშგების ტვირთს, 2022 წლის რეფორმის შემდეგ, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი და სამთავრობო კომიტეტი ერთობლივად ამზადებენ ე. წ. „მიზნობრივ

კითხვებს“, რომლებიც სახელმწიფოებს გადაეცემათ საანგარიშგებო წლის დასაწყისში.

ანგარიშგება იმ სახელმწიფოთა მიერ, რომლებსაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა

2022 წლის რეფორმის თანახმად, ყველა ასეთ სახელმწიფოს ევალება, ორ წელიწადში ერთხელ წარადგინოს ანგარიში ზემოაღნიშნულ რომელიმე ჯგუფში შემავალ დებულებებზე. შედეგად, ქარტიის ყველა მიღებული დებულება თითოეული ასეთი სახელმწიფოსთვის განიხილება ოთხ წელიწადში ერთხელ. ამ კატეგორიის ანგარიშები კომიტეტს უნდა წარედგინოს **შესაბამისი წლის 31 დეკემბრამდე**.

ანგარიშგება იმ სახელმწიფოთა მიერ, რომლებმაც მიიღეს კოლექტიური საჩივრების პროცედურა

2022 წლიდან, ყველა ასეთ სახელმწიფოს ევალება, **ოთხ წელიწადში ერთხელ** წარადგინოს ანგარიში ზემოაღნიშნულ რომელიმე თემატურ ჯგუფში შემავალ დებულებებზე. შესაბამისად, ქარტიის ყველა მიღებული დებულება თითოეული სახელმწიფოსთვის განიხილება **რვა წელიწადში ერთხელ**. ამ კატეგორიის ანგარიშებიც კომიტეტს უნდა წარედგინოს **შესაბამისი წლის 31 დეკემბრამდე**.

შეხვედრები

სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს შეხვედრების ორგანიზება შესაბამისი სახელმწიფოს წარმომადგენლებთან (როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე სახელმწიფოს მოთხოვნით), ეროვნული ანგარიშის დეტალების განსახილველად. დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციები და პროფკავშირები, რომლებსაც უფლება აქვთ, კომენტარები წარადგინონ ეროვნული ანგარიშების პარალელურად, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება მიიწვიონ ამ შეხვედრებზე, რის შესახებაც შეუძლიათ აცნობონ ადგილობრივ წევრ ორგანიზაციებს. დამსაქმებელთა ეროვნული ორგანიზაციები და პროფკავშირები, ისევე, როგორც NHRI, NEB და (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციები, შეიძლება ასევე მიიწვიონ შეხვედრებზე, თუ შესაბამისი სახელმწიფო ამას დათანხმდება (წესი 21).

დასკვნები

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი შეისწავლის ყველა ანგარიშსა და კომენტარს, რომლებიც წარედგინება შესაბამისი პროცედურის ფარგლებში, ასევე, შეხვედრებზე მიღებულ ნებისმიერ ინფორმაციას. ამის შემდეგ, კომიტეტი თითოეული განსახილველი სახელმწიფოსთვის შეიმუშავებს დასკვნებს ევროპის სოციალური ქარტიის

შესრულებაზე. ბოლო წლებში, კომიტეტი დასკვნებს იღებს იანვარში და აქვეყნებს მარტში.

შემდგომი ქმედებები

- სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნები უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფომ, თუმცა მათზე არ ვრცელდება პირდაპირი აღსრულება, სახელმწიფოს ეროვნული სასამართლო სისტემის მეშვეობით. დასკვნების გათვალისწინებას მონიტორინგს უწევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, შემდგომი ქმედებების (follow-up) პროცედურით (იხ. ქვემოთ).

- თუ კომიტეტი თავის დასკვნებში დაადგენს ევროპის სოციალური ქარტიის დარღვევას, შესაბამისი სახელმწიფო ვალდებულია, შემდეგი ეროვნული ანგარიშის წარდგენისას კომიტეტს მიაწოდოს ინფორმაცია ზომებზე, რომლებიც მიიღო ამ დასკვნების შესასრულებლად. დასკვნების შესრულებას მონიტორინგს უწევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, სამთავრობო კომიტეტის წინადადებათა საფუძველზე (სამთავრობო კომიტეტი შედგება ქარტიის მხარე სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა და იმ დამკვირვებლებისგან, რომლებიც წარმოადგენენ ევროპულ პროფკავშირებსა და დამსაქმებელთა ორგანიზაციებს).

- თითოეული ზედამხედველობის ციკლის დასასრულს, მინისტრთა კომიტეტი იღებს რეზოლუციას, რომელიც ეფუძნება სამთავრობო კომიტეტის წინადადებებს და შეიცავს ინდივიდუალურ რეკომენდაციებს შესაბამისი მხარე სახელმწიფოსთვის. თუ სახელმწიფო არ ახორციელებს შესაბამის ქმედებებს, მინისტრთა კომიტეტი იღებს რეკომენდაციას (სამთავრობო კომიტეტის წინადადებათა საფუძველზე) და სახელმწიფოს სთხოვს არსებული მდგომარეობის შეცვლას კანონმდებლობასა და/ან პრაქტიკაში. 2022 წლის რეფორმის შედეგად, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება რეკომენდაციებზე, რომლებსაც შეიძლება ახლდეს შესაბამისი ტექნიკური შეხვედრები, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობითი პროექტები.

- დამატებითი ინფორმაცია ანგარიშგების პროცედურისა და დასკვნების შემდგომი მონიტორინგის შესახებ ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებგვერდზე.

სად მოვიძიოთ დოკუმენტაცია წარსულ ანგარიშგების ციკლებზე?

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრაქტიკა ხელმისაწვდომია HUDOC -ის სპეციალურ მონაცემთა ბაზაში.

HUDOC-ის საშუალებით, მომხმარებლებს შეუძლიათ ძიების დავიწროება ანგარიშგების პროცედურასთან დაკავშირებული კონკრეტული ტიპის დოკუმენტების არჩევით, იმის მიხედვით, თუ რა აინტერესებთ (დასკვნები, განმარტებითი განცხადებები, ცალკეული მოსაზრებები, თუ შემდგომი დასკვნები). HUDOC იძლევა საძიებო შედეგების გაფილტვრის შესაძლებლობასაც, ანგარიშგების წარსულ ციკლებთან დაკავშირებული პარამეტრების მიხედვით (მაგ: ქარტიის კონკრეტული მუხლები, სახელმწიფოები, ან დასკვნები შესაბამისობისა თუ შეუსაბამობის შესახებ).

წარსულში წარდგენილი ეროვნული ანგარიშები და დოკუმენტები (მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფკავშირების მიერ) ხელმისაწვდომია ევროპის სოციალური ქარტიის ვებსაიტზე, კერძოდ, იმ გვერდებზე, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ქვეყნების პროფილის შესახებ.

მიუღებელ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურა

ამ პროცედურის მიზანია მხარე სახელმწიფოთა წახალისება, რომ ეტაპობრივად მიიღონ ქარტიის ყველა დებულება.

1961 წლის ქარტიის 22-ე მუხლის თანახმად, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია, სახელმწიფოებს სთხოვოს, რომ შესაბამისი პერიოდულობით წარადგინონ ანგარიშები დებულებებზე, რომლებიც არ მიუღიათ ქარტიის რატიფიკაციის, დამტკიცების, ან შემდგომი შეტყობინების ფარგლებში. ამ მუხლის შესრულება დაიწყო 2002 წელს, მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილების შემდეგ, რომლის მიხედვითაც, შესწორებული სოციალური ქარტიის რატიფიცირების შემდგომ, სახელმწიფოებმა ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა წარადგინონ ანგარიში მიუღებელ დებულებებზე.

2022 წლის სექტემბერში სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქარტიის ორივე ვერსიის (1961 წლის და 1996 წლის) მხარე სახელმწიფოებისთვის გაძლიერდეს მიუღებელ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურა.

როგორ მუშაობს მიუღებელ დებულებებზე ანგარიშგების პროცედურა?

მუშაობის პრინციპი

მხარე სახელმწიფოებმა წერილობითი ინფორმაცია უნდა წარადგინონ წინასწარ განსაზღვრული განრიგის მიხედვით (იხ. ამ გზამკვლევის დანართი 2). სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განიხილავს ამ ინფორმაციას და ორმხრივ შეხვედრებს გამართავს

შესაბამის სახელმწიფოსთან, თუკი მიიჩნევს, რომ ეს ღირებულებას შემატებს პროცედურას. შემდეგ, კომიტეტი თითოეული სახელმწიფოსთვის მოამზადებს ანგარიშს, არასავალდებულო ძალის მქონე შეფასებებით ეროვნული მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ეფუძნება მის ხელთ არსებულ ინფორმაციას (სახელმწიფოს მიერ წარდგენილ წერილობით ინფორმაციას, ან შეხვედრების კონტექსტში მოპოვებულ მონაცემებს).

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის რეგლამენტის 21A წესის თანახმად, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, თანასწორობის ეროვნულ ორგანოებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს (მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს) შეუძლიათ, კომენტარები წარადგინონ სახელმწიფოთა მიერ კომიტეტისთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე, არაუგვიანეს სამი თვის ვადაში მას შემდეგ, რაც დოკუმენტი გამოქვეყნდება ევროპის საბჭოს ვებგვერდზე. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის ან მხარე სახელმწიფოების ინიციატივით, შესაძლებელია ორმხრივი შეხვედრების ორგანიზება შესაბამის სახელმწიფოებთან, ეროვნულ სოციალურ პარტნიორთა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

განრიგი

მიუღებელ დებულებებზე წერილობითი ინფორმაცია კომიტეტს უნდა წარედგინოს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, ამ გზამკვლევის მე-2 დანართში ასახული განრიგის შესაბამისად. ანგარიშები უნდა წარედგინოს შესაბამისი წლის 31 მარტამდე.

სპეციალური (ad hoc) ანგარიშგების პროცედურა

რა არის სპეციალური ანგარიშგების პროცედურა?

ევროპის სოციალური ქარტიის 2022 წლის რეფორმის შედეგად, მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, კომიტეტი უფლებამოსილია, მხარე სახელმწიფოებს მოსთხოვოს სპეციალური (ad hoc) ანგარიშების წარდგენა, ანალიზის ან განხილვის მიზნით. ასეთი ანგარიშების მოთხოვნა შესაძლებელია მაშინ, როცა წამოიჭრება ახალი ან კრიტიკული საკითხები, ფართო ან ურთიერთგადამკვეთი ფარგლებით, ანდა საერთოევროპული განზომილებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, 2023 წელს სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა და სამთავრობო კომიტეტმა ერთობლივად გადაწყვიტეს, ყველა მხარე სახელმწიფოსგან მოეთხოვათ სპეციალური ანგარიშის წარდგენა ცხოვრების ღირებულების კრიზისზე.

სპეციალური ანგარიშების თემასა და ვადებს განსაზღვრავენ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი და სამთავრობო კომიტეტი.

როგორ მუშაობს სპეციალური (ad hoc) ანგარიშგების პროცედურა?

მინისტრთა კომიტეტის 2022 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე, სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს მოეკითხება სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი ინფორმაციის განხილვა, რის შემდეგაც მან შეიძლება მოამზადოს სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა და ფართო სამართლებრივი ანალიზი ქარტიის ჭრილში (ასეთ კომე-

ნტარებს შეიძლება ახლდეს განმარტებითი განცხადებები). ამავდროულად, სპეციალური ანგარიშგების პროცედურის კონტექსტში, კომიტეტს არ შეუძლია დასკვნების მიღება სიტუაციის შესაბამისობაზე ქარტიასთან.

კომიტეტის რეგლამენტის 21A წესის თანახმად, სხვა ორგანიზაციებს, ინსტიტუციებსა და ერთეულებსაც შეუძლიათ მოსაზრებების წარდგენა სპეციალურ ანგარიშებზე. მათ შორის არიან: პროფკავშირები და დამსაქმებელთა ორგანიზაციები, (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და თანასწორობის ეროვნული ორგანოები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მთლიანად კომიტეტის შეხედულებაზეა დამოკიდებული, რამდენად და როგორ გაითვალისწინებს ამ კომენტარებს.

შემდგომი ქმედებები უნდა მოიცავდეს დიალოგს მხარე სახელმწიფოებთან, ასევე, შესაბამისი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და NHRI/NEB-ების ჩართულობას, რათა განისაზღვროს, რა მოქმედებებია საჭირო ქარტიით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. ამასთანავე, ევროპის სოციალური ქარტიის სამთავრობო კომიტეტს შეუძლია, დამატებითი რეკომენდაციები ან ზოგადი მითითებები მიიღოს ევროპულ სახელმწიფოთა მიმართ.

სად მოვიძიოთ ინფორმაცია სპეციალური ანგარიშგების პროცედურაზე?

სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი სპეციალური (ad hoc) ანგარიშები ხელმისაწვდომია ევროპის სოციალური ქარტიის ვებსაიტზე, იმ გვერდებზე, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ქვეყნის პროფილის შესახებ.

დანართი 1:

მიღებულ დებულებებთან დაკავშირებული ანგარიშებისა და სპეციალური (ad hoc) ანგარიშების წარდგენის განრიგი; და განრიგი სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნებისთვის1 (ასევე, ონლაინ იხ. აქ).

წელი	ანგარიშების წარდგენა	სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნები
2023	*სპეციალური ანგარიში*[2]	
2024	27 სახელმწიფო, რომლებსაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ანგარიშებს წარადგენს პირველი ჯგუფის დებულებებზე	სპეციალური ანგარიშების შესაძლო ანალიზი ECSR-ის მიერ[3]
2025	16 სახელმწიფო, რომლებმაც მიიღეს კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ანგარიშებს წარადგენს პირველი ჯგუფის დებულებებზე	ECSR-ის დასკვნები 27 სახელმწიფოსთვის (პირველი ჯგუფის დებულებები)
2026	27 სახელმწიფო, რომლებსაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ანგარიშებს წარადგენს მეორე ჯგუფის დებულებებზე	ECSR-ის დასკვნები 16 სახელმწიფოსთვის (პირველი ჯგუფის დებულებები)
2027		ECSR-ის დასკვნები 27 სახელმწიფოსთვის (მეორე ჯგუფის დებულებები)

1. 2023 წელს სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა განიხილა წინა ანგარიშგების სისტემის ფარგლებში წარდგენილი ბოლო ანგარიშები.
2. ანგარიშგების ახალ სისტემაზე ეფექტიანად გადასვლისათვის და ორი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე დებულებებზე ანგარიშგების ასაცილებლად, გადაწყდა, რომ 2023 წელს პროცესი დაიწყებოდა სპეციალური (ad hoc) და არა სტანდარტული ანგარიშით.
3. შემდეგ წელს, სამთავრობო კომიტეტის მიერ განხილვა, რის შემდეგაც ანგარიში გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს. ეს ვრცელდება თითოეულ წელზე.

წელი	ანგარიშების წარდგენა	სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნები
2028	27 სახელმწიფო, რომლებსაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ანგარიშებს წარადგენს პირველი ჯგუფის დებულებებზე	
2029	16 სახელმწიფო, რომლებმაც მიიღეს კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ანგარიშებს წარადგენს მეორე ჯგუფის დებულებებზე	ECSR-ის დასკვნები 27 სახელმწიფოსთვის (პირველი ჯგუფის დებულებები)
2030	27 სახელმწიფო, რომლებსაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ანგარიშებს წარადგენს მეორე ჯგუფის დებულებებზე	ECSR-ის დასკვნები 16 სახელმწიფოსთვის (მეორე ჯგუფის დებულებები)
2031		ECSR-ის დასკვნები 27 სახელმწიფოსთვის (მეორე ჯგუფის დებულებები)
2032	27 სახელმწიფო, რომლებსაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ანგარიშებს წარადგენს პირველი ჯგუფის დებულებებზე	
2033	16 სახელმწიფო, რომლებმაც მიიღეს კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ანგარიშებს წარადგენს პირველი ჯგუფის დებულებებზე	ECSR-ის დასკვნები 27 სახელმწიფოსთვის (პირველი ჯგუფის დებულებები)
2034	27 სახელმწიფო, რომლებსაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ანგარიშებს წარადგენს მეორე ჯგუფის დებულებებზე	ECSR-ის დასკვნები 16 სახელმწიფოსთვის (პირველი ჯგუფის დებულებები)
2035		ECSR-ის დასკვნები 27 სახელმწიფოსთვის (მეორე ჯგუფის დებულებები)
2036	27 სახელმწიფო, რომლებსაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ანგარიშებს წარადგენს პირველი ჯგუფის დებულებებზე	

წელი	ანგარიშების წარდგენა	სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნები
2037	16 სახელმწიფო, რომლებმაც მიიღეს კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ანგარიშებს წარადგენს მეორე ჯგუფის დებულებებზე	ECSR-ის დასკვნები 27 სახელმწიფოსთვის (პირველი ჯგუფის დებულებები)
2038	27 სახელმწიფო, რომლებსაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ანგარიშებს წარადგენს მეორე ჯგუფის დებულებებზე	ECSR-ის დასკვნები 16 სახელმწიფოსთვის (მეორე ჯგუფის დებულებები)

დანართი 2:

წერილობითი ინფორმაციის წარდგენის განრიგი ანგარიშგების პროცედურის ფარგლებში იმ დებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფოს არ მიუღია

წელი	წერილობითი ინფორმაციის წარდგენა იმ დებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფოს არ მიუღია (30 ივნისამდე)
2023	შესწორებული ქარტიის მხარეები: ბოსნია და ჰერცეგოვინა, ლატვია, შვედეთი; + 1961 წლის ქარტიის მხარეები: ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ისლანდია
2024	შესწორებული ქარტიის მხარეები: ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელგია, უნგრეთი, იტალია, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია; + 1961 წლის ქარტიის მხარეები: ლუქსემბურგი, პოლონეთი, გაერთიანებული სამეფო
2025	შესწორებული ქარტიის მხარეები: ბულგარეთი, კვიპროსი, ესტონეთი, საქართველო, ირლანდია, მალტა, მონტენეგრო; + 1961 წლის ქარტიის მხარეები: —
2026	შესწორებული ქარტიის მხარეები: ავსტრია, გერმანია, საბერძნეთი, ლიტვა, მოლდოვა, ნიდერლანდები, ნორვეგია, უკრაინა; + 1961 წლის ქარტიის მხარეები: —
2027	შესწორებული ქარტიის მხარეები: ალბანეთი, ფინეთი, ჩრდილოეთი მაკედონია, თურქეთი; + 1961 წლის ქარტიის მხარეები: —
2028	შესწორებული ქარტიის მხარეები: ბოსნია და ჰერცეგოვინა, ლატვია, შვედეთი; + 1961 წლის ქარტიის მხარეები: ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ისლანდია

წელი	წერილობითი ინფორმაციის წარდგენა იმ დებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფოს არ მიუღია (30 ივნისამდე)
2029	შესწორებული ქარტიის მხარეები: ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელგია, უნგრეთი, იტალია, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია; + 1961 წლის ქარტიის მხარეები: ლუქსემბურგი, პოლონეთი, გაერთიანებული სამეფო
2030	შესწორებული ქარტიის მხარეები: ბულგარეთი, კვიპროსი, ესტონეთი, საქართველო, ირლანდია, მალტა, მონტენეგრო; + 1961 წლის ქარტიის მხარეები: —

ევროპის სოციალური ქარტია, მიღებული 1961 წელს და შესწორებული 1996 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის „პარტნიორი“ ხელშეკრულებაა სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა სფეროში. ქარტიით გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრი, რომლებიც უკავშირდება დასაქმებას, საცხოვრებელს, ჯანმრთელობას, განათლებას, სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას.

საერთოევროპულ დონეზე არცერთი სამართლებრივი ინსტრუმენტი არ უზრუნველყოფს სოციალურ უფლებათა ისეთ ფართო და სრულფასოვან დაცვას, როგორსაც ითვალისწინებს ქარტია.

შესაბამისად, ის აღიქმება ევროპის სოციალურ კონსტიტუციად და ადამიანის უფლებათა სისტემის განუყოფელი ნაწილია კონტინენტზე.

www.coe.int/socialcharter

CoESocialRights

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი შედგება 46 წევრი სახელმწიფოსგან, რომელთა შორისაც არის ევროკავშირის ყველა წევრი. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE